ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა
ყიფიანის ქუჩა №29ბ და №35ბ




თბილისი
აპრილი, 2016


ყიფიანის ქუჩა თბილისის ცენტრში, იმ მიკროუბანში მდებარეობს, რომელიც მთაწმინდის ძირში, მთაწმინდის უბანსა და ვერის უბნებს შორის არსებულ გადასასვლელ გზაზე გაშენდა. ეს უბანი ქალაქის ისტორიული ნაწილის მკაცრი დაცვის ზონის ფარგლებშია მოქცეული.

ამ ადგილის განაშენიანება მას შემდეგ დაიწყო, რაც თბილისის საზღვერბმა ისტორიული ცენტრის – კალას – ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით სალალაკის ქედებსა და მთაწმინდის ფერდობებზე გადაინაცვლა, და მას შემდეგ, რაც ქალაქის მთავარ მაგისტრალად გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტი იქცა. ამ უბნის, ისევე, როგორც მისი მიმდებარე ვერისუბნის ურბანული ქსოვილის ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი ვერის ხიდის (1883 წ. 1952 წ. იგი ახალი ხიდით შეიცვალა) აგებამ და ვერის დაღმართის (ელბაქიძე) გაჭრამ. ხიდმა თბილისის ორი მთავარი მაგისტრალი – გოლოვინისა და მიხეილის (რუსთაველის და დავით აღმაშენებლის) პროსპექტები დააკავშირა. ქალაქის განაშენიანება მტკვრის ორივე ნაპირას, მის პარალელურად განვითარდა. რუსთაველის პროსპექტის ჩამოყალიბებასა და განაშენიანებს (XIX საუკუნის მანძილზე და XX ს. I ნახევარში) ბუნებრიდად მოჰყვა მისი მიმდებარე ტერიტორიების, მთის ფერდობების ათვისებაც. XIX საუკუნის 50-იანი წლებში პროსპექტი უკვე მოსკოვის საგუშაგომდე (შემდგომში მოსკოვის,დღეს კაკაბაძეების ქ.) იყო განაშენიანებული.


ჩვენთვის საინტერესო უბანი XIX საუკუნის 80-იან წლებში ჯერ კიდევ არ იყო განაშენიანებული, რასაც ამ პერიოდის თბილისის გეგმა ადასტურებს.



განაშენიანების პროცესი, როგორც ჩანს, მოგვიანებით, XIX ს. მიწურულსა და XXს. განვითარდა.



უბანი მთაწმინდის ფერდობზეა შეფენილი. ქუჩათა ქსელი რეგულარული დაგეგმარებას არ ექვემდებარება და მთა-გორიან რელიეფზე მისადაგებული მრუდხაზოვნებით ხასიათდება. ბევრი ნაგებობა აქ, უშუალოდ კლდეზე დგას, ქუჩების ცალკეულ მონაკვეთებს კლდე საზღვრავს, კლდოვანი მასივები ზოგან პაუზებს ავსებენ სახლებს შორის, ან ეზოში „იჭრება“.



მიუხედავად უბნის ისტორიული განაშენიანების ქალაქის საერთო ხედისთვის განსაკუთრებული ღირებულებისა, ამ ტერიტორიაზე ძალიან ცოტა ნაგებობას აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ამ გარემოების გამო უბანზე საკმარისად ინტენსიურად მიმდინარეობდა ახალი მშენებლობებით ძველი სახლების ჩანაცვლების ტენდენცია და ფაქტობრივად უბანმა ისტორიულ ღირებულება სრულიად დაკარგა. ეს ეხება მთაწმინდის კალთის ძირში არსებულ მიკრო ლანდშაფტურ ჯიბეს (ყიფიანის ქ.), რომელმაც მთლიანად იცვალა სახე და ერთ-ორსართულიანი განასენიანების ნაცვლად აქ ოთხ-ხუთსართულიანი მიკროუბანი გაშენდა.



აღნიშნული მიკროუბნის მიმდებარედ დარჩენილია ძველი განაშენიანების რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც კლდეზე აღმავალ ვიწრო ქუჩას მიუყვება. ეს კერძო საცხოვრებლები (ყიფიანის ქ. №29ბ და №35ბ) არ ხასიათდება ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულებით, თუმცა, საკმარისად მომხიბლავია მათი ლანდშაფტში განთავსების ხასიათი.





რეკომენდაცია

ყიფიანის ქ. №29ბ და №35ბ არსებული განაშენიანება რამდენიმე XX ს-ის II ნახვრის მოცულობისგან შედგება, რომელთა ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულება არ გააჩნიათ. შენობებს არ იცავს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი, რაც მათი ჩანაცვლების საშუალებას იძლევა, ამასთან, ქალაქის შორ ხედებზე ამ უბნის მნიშვნელოვანებიდან გამოდინარე არსებული ნაგებობების ჩანაცვლება ახალი არქიტექტურით უნდა მოხდეს გააზრებულად, ამ უბნის მასშტაბის შესაბამისად, საშენი მასალის თავისებურებისა და სივრცით-გეგმარებითი პრინციპების დაცვით.

- შენობის ყიფიანის ქუჩის მხარეს მიმართული ნაწილი უნდა შეერწყას კლდოვან მასივს, რისთვისაც ვფიქრობ სასურველია აგურის, ან შესაფერისი ფერის ნალესი კედლების ფაქტურის გამოყენება და მოცულობის ტერასული პრინციპით განთავსება ისტორიული განაშენიანების გეგმარებითი პრინციპების გათვალისწინებით.
- სახურავის ფორმა და ფერი ტრადიციული უნდა იყოს ძველი ქალაქისთვის, რომ მკვეთრად არ გამოჩნდეს შორ ხედზე.
- პროექტში უნდა გათვალისწინებულ იქნას კლდის მონაკვეთზე არსებული მრავალწლიანი ნაძვის შენარჩუნება.
- მიკროუბანში დაშვებული არქიტექტურული შეუსაბამობების ფონზე, კარგად ჩანს თუ რამდენად მიუღებელია ქალაქის ამ მონაკვეთისთვის ერთიანი, მთლიანი, დაუნაწევრებელი მოცულობების დადგმა, ამდენად, აუცილებელია პროექტის ფარგლებში გამოყოფილი იყოს სივრცით-ლანდშაფტური პაუზები ბუნებასთან ორგანული დაკავშირების მიზნით.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი